საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი-155

ქ. თბილისი "16" 04 2010 წ.

შპს „ბლექ სი პროდაქტი"-ს „მდ. სუფსას შესართავში საზღვაო ნავსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ' ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №19; 16.04.2010წ „მდ. სუფსას შესართავში საზღვაო ნავსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციაზე.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.
3. შპს „ბლექ სი პროდაქტი"-მ უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება.
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს შპს „ბლექ სი პროდაქტი"-ს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „ბლექ სი პროდაქტი"-ს განცხადებები; ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №19; 16.04.2010 წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, გარემოს დაცვის ინსპექციას, შპს „ბლექ სი პროდაქტი'-ს